დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-109. 109250283**

თარიღი:**28/01/2025**

"დმანისის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების წახალისების წესის" დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N31 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების წახალისების წესი" ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი

დმანისის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების წახალისების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. „დმანისის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების წახალისების წესი“ (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა წახალისების პირობებს, გასაცემი თანხის ოდენობას და დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას.
2. აღნიშნული წესის მიზანია ხელი შეუწყოს „ქართული, როგორც მეორე ენის“ სასწავლო პროგრამის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც წახალისდებიან დმანისის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვანი სკოლებში დასაქმებული მასწავლებლები.
3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.
4. დაფინანსება განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ზოგადი განათლების ხელშეწყობა“ (04 03) ფარგლებში.

მუხლი 2. წესით მოსარგებლენი

აღნიშნული წესით ისარგებლებს ის მასწავლებელი, რომელიც დმანისის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვან სკოლაში ჩართულია „ქართული, როგორც მეორე ენის“ საგნობრივი პროგრამის განხორციელებაში.

მუხლი 3. დაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. დაფინანსების მიღების მიზნით, „ქართული, როგორც მეორე ენის“ მასწავლებელმა, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:
   ა) განცხადება დმანისის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
   ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა დმანისის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვანი სკოლიდან, „ქართული, როგორც მეორე ენის“ საგნობრივ პროგრამაში მასწავლებლის მონაწილეობის შესახებ;
   დ) საბანკო რეკვიზიტები.

მუხლი 4. განცხადების განხილვის წესი

1. დმანისის მუნიციპალიტეტში შემოსულ დაფინანსების განცხადის ამ წესთან და მოქმედ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას ამოწმებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური (შემდგომში - სამსახური).
2. განცხადების წარმოებაში მიღების შემდგომ, სამსახური უფლებამოსილია სსიპ დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან გამოითხოვოს დმანისის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვან სკოლებში „ქართული, როგორც მეორე ენის“ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების სახელობითი სია.
3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტის საფუძველზე სამსახური ადგენს დასაფინანსებელ პირთა სიას და დასამტკიცებლად წარუდგენს მერს.

4. დასაფინანსებელ პირთა სიაში მყოფთა გადამოწმებას ახორციელებს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სამსახური, სსიპ დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან ყოველთვიურად შემოსული წერილის საფუძველზე, რომლის შემდგომაც საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს დასაფინანსებელ პირთა სიაში ცვლილების შეტანის ინიცირებას.

მუხლი 5. დაფინანსების გაცემა

1. პროგრამით მოსარგებლე მასწავლებლის დაფინანსება განხორციელდება კალენდარული წლის 10 თვის განმავლობაში (გარდა ივლისისა და აგვისტოს თვისა), ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით.
2. დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე.
3. ფულადი წახალისება გაიცემა დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.